## ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

### ოქმი №2

ქ. ვანი 06 აპრილი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.

გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.

ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.

დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, აპარატის წევრი.

მარინა ღვინიანიძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტების:*

- *ქ. ვანში გივი ყიფიანის სახელობის პარკთან მისასვლელ გზაზე ცემენტობეტონის საფარის დაგება/0.5კმ/*
- *რუსთაველის ქუჩაზე ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზრის სამხრეთით საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის შავი საფარის მოწყობა*
- *ქ. ვანში ცენტრალური ბიბლიოთეკის მისასვლელი გზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა*
- *ციხესულორის თემში კორძაძეების უბანში (გრიშა ბელთაძე) საუბნო საავტომობილო გზის აღმართზე ბეტონის გზის დაგება 0,2კმ*
- *რუსთაველის ქუჩის მეორე შესახვევში რკინაბეტონის კიუვეტის და ბეტონის გზის მოწყობა*
- *რომანეთი–ტოლების საზღვარზე ხიდის მშენებლობა(გაბარიტი 3,2მ, სიგრძე 12მ, თვითამწეობა 10ტ)*
- *დიხაშხოს თემში რამაზი ძაგნიძის სახლთან მდ. ბოწკოზე არსებულ ბურჯებზე ხიდის სავალი ნაწილის მოწყობა(სიგრძე 4მ გაბარიტი 3,2მ თვითამწეობა 10ტ)*
- *დიხაშხოს თემში მდინარე სულორზე ფეხით გადასასვლელის ხიდის აღდგენა*
- *ქ. ვანში მდ. სულორის მარჯვენა სანაპიროსთან გაბიონის მოწყობა/ზაური აბრამიძის და ზურაბ მამასახლისის საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ/*
- *ქ. ვანში 26 მაისის და საკაძის ქუჩების გადაკვეთიდან ტაბიძის სკოლამდე რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობა*
- *ქ. ვანში მიხეილ ჩუგნაძის ქუჩის დასაწყისში რკინა–ბეტონის კიუვეტის მოწყობა*

შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (ც/ნ 1582 31.03..2015წ) შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის 3 აპრილი 15:00სთ.) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა.

1. ინდ. მეწარმე ,,შოთა ფუტკარაძე"

განიხილეს: კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინდ. მეწარმე შოთა ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (ც/ნ 1582 03.04.2015წელი) გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე ,,შოთა ფუტკარაძე".
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი გამარჯვებული გამოვლენილია.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე
2. მარინა ღვინიანიძე